ბავშვის განვითარება სამიდან ექვს წლამდე



ფიზიკური განვითარება

სამიდან ექვს წლამდე

სამიდან ექვს წლამდე ბავშვები მეტად აქტიურები არიან, უყვართ მოძრაობა, ფეხის მონაცვლეობით დამოუკიდებლად ადიან და ჩამოდიან კიბეზე, უფრო დიდხანს შეუძლიათ ცალ ფეხზე დგომა, შემდეგ კი ცალ ფეხზე ხტუნვაც კი. საგრძნობლად უკეთ იჭერენ და ძლიერად ურტყამენ ბურთს, ზოგიერთი ბავშვი შესაძლოა, ამ ასაკში მზად იყოს, ატაროს ორთვლიანი ველოსიპედი. ძალიან უყვართ ძრომიალი, სრიალი და ქანაობა.

ასევე, სწრაფად ვითარდება ამ ასაკში ბავშვის წვრილი მოტორიკა. ბავშვებს უკეთ უჭირავთ ფანქარი, ავლებენ ხაზებს, ხატავენ ფორმებს, იწყებენ მეტი სიზუსტით გაფერადებას, ხუთი წლიდან შეუძლიათ ზოგიერთი ასოს გამოსახვა, უკეთ ჭრიან მაკრატლით, შეუძლიათ მარტივი ფორმების გამოჭრა.

ამ ასაკის ბავშვებს შეუძლიათ, თვითონ ჩაიცვან ტანსაცმელი და შეიკრან ღილები, ასევე, იწყებენ შედარებით რთული შესაკრავების, მაგალითად, ფეხსაცმლის თასმების შეკვრას. უკვე ხუთი წლიდან ბავშვებს უყვართ რთული ფიზიკური მოძრაობების შესრულება და საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა, ამ დროს ხშირად გაიგონებთ მათგან: „ნახე, რა შემიძლია!“, ასევე უყვართ მოძრავი თამაშები, როგორიცაა დაჭერობანა და ა. შ.

ფიზიკური განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიები

- მიეცით ბავშვს საშუალება, იხტუნოს, ირბინოს, აძვრეს, ჩამოხტეს და ა. შ.
- ხშირად გაიყვანეთ სუფთა ჰაერზე და მოძრავ თამაშებში ჩართეთ, მასთან ერთად თქვენც ისიამოვნეთ ამ თამაშებით;
- მიეცით საშუალება, გამოიყენოს ხელის წვრილი კუნთები, გახსნას და შეკრას შესაკრავები, გაავსოს პატარა ზომის ნივთებით ჯამი, გამოიყენოს მაკრატელი, ფანქრები.

თამაშები ფიზიკური განვითარების ხელშეწყობისათვის

ობობას ქსელი

საჭირო მასალა: პლასტმასის ჯამი ნახვრეტებით, თოკი, ხის სარჭი, მცირე ზომის სათამაშოები.

პლასტმასის ჯამში ჩაყარეთ ნივთები, შემდეგ ნახვრეტებში გააბით თოკი აბლაბუდასავით, წაახალისეთ ბავშვი, ხის სარჭი მოიშველიოს და ამოაძვრინოს ჯამში ჩაყრილი ნივთები.

ბოულინგი პლასტმასის ბოთლებითი

საჭირო მასალა: პლასტმასის ბოთლები, საშუალოზე პატარა ზომის ბურთი.



მოიმარაგეთ პლასტმასის ბოთლები, რომელსაც გაავსებთ წყლით, ან ქვიშით. მოათავსეთ ბოთლები იატაკზე და წაახალისეთ ბავშვი, ბურთის გაგორებით, რაც შეიძლება ბევრი ბოთლი წააქციოს.

შეაგროვე ფიგურები

საჭირო მასალა: თაბახის ან ფერადი ფურცელი, მაკრატელი, პლასტმასის საწრუპი, ორი თეფში.



თავდაპირველად, ბავშვთან ერთად გამოჭერით სხვადასხვა ფორმის ფიგურა, შემდეგ ფიგურები მოათავსეთ თეფშზე და დაიწყეთ თამაში. პლასტმასის საწრუპით უნდა შეისუნთქოთ ჰაერი ისე, რომ ქაღალდის ფიგურა მიემაგროს საწრუპს და ასე გადაიტანოთ მეორე თეფშზე. ბოლოს დაითვალეთ, ვინ უფრო მეტი ფიგურა გადაიტანა.

დაიჭირე ბურთი

საჭირო მასალა: პლასტმასის ჭიქა, პატარა ზომის ბურთი ან დიდი ზომის ღილი და ა. შ.



დასხედით ხალიჩაზე ერთმანეთის პირისპირ, ჯერ თქვენ ისროლეთ ბურთი ან დიდი ზომის ღილი და წაახალისეთ ბავშვი, პლასტმასის ჭიქით დაიჭიროს, შემდეგ კი გაცვალეთ როლები.

ბურთით ხტუნვა

საჭირო მასალა: საშუალო ზომის ბურთი.



უთხარით ბავშვს, რომ გაშალოს ფეხები და ბურთი მუხლებით დაიჭიროს, შემდეგ წაახალისეთ, იხტუნოს ასე, ოღონდ შეეცადოს ბურთი არ დააგდოს.

ფერადი ბურთები

საჭირო მასალა: მუყაოს დიდი ზომის ნაჭრები, რეზინის ღია ფეხსაცმელი (ჩუსტი), ორმაგი წებოვანი ლენტი, პლასტმასის პატარა ზომის ბურთები. უნივერსალური წებო ან ნემსი და ძაფი.



წინასწარ გამოჭერით მუყაოსგან ადამიანის დიდი ზომის ტერფის ფორმა (გამოჭრილი ტერფის ზომა დაახლოებით 3-4 ჯერ უნდა აღემატებოდეს ბავშვის ფეხსაცმელის ზომას). მუყაოსგან გამოჭრილი ტერფის ცენტრში დააწებეთ რეზინის ფეხსაცმელი ან დააკერეთ. ფრჩხილების ადგილას დააწებეთ ორმაგი წებოვანი ლენტი და დაამაგრეთ პლასტმასის ბურთები. შეგიძლიათ, დაიწყოთ თამაში. მოთამაშეები ეჯიბრებიან ერთმანეთს, ოთახის ერთი ადგილიდან მეორემდე სწრაფად მივიდნენ ისე, რომ გზაში რაც შეიძლება ნაკლები პლასტმასის ბურთი „დაკარგონ“.

დამოუკიდებლობის განვითარება

სამიდან ექვს წლამდე

სამიდან ექვს წლამდე ბავშვს უკეთ შეუძლია საოჯახო საქმეებში მონაწილეობა, დახმარება ტანსაცმლისა და სათამაშოების დალაგებაში, მოსწონს მონაწილეობა სუფრის გაშლასა და ალაგებაში. ბავშვი მარტივად აკეთებს არჩევანს რამდენიმე შეთავაზებული მასალიდან ან საქმიანობიდან, თამაშის დროს ირჩევს თავის როლს, გამოთქვამს საკუთარ აზრს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

კვების დროს ბავშვს უკვე შეუძლია კოვზისა და ჩანგლის გამოყენება, ჭიქაში ისხამს წყალს პატარა ბოთლიდან, დამოუკიდებლად შეუძლია გადაიღოს საკვები თეფშზე, შეუძლია მონაწილეობა საკვების დამზადების პროცესში, უსაფრთხო დანის გამოყენება პროდუქტის დასაჭრელად, მორევა. უფროსის დახმარებით შეუძლია ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჩაცმა და გახდა. დამოუკიდებლად იყენებს ტუალეტს, დამოუკიდებლად იბანს და იმშრალებს ხელებს, იხოცავს ცხვირს, იხეხავს კბილებს.

ცნობს სახიფათო ნივთებსა და სიტუაციებს და თავს არიდებს მათ. მაგალითად, არ კიდებს ხელს ცხელ ნივთებს, მარტო არ გადადის ქუჩაზე, სხვებს ატყობინებს, როცა ხედავს რაიმე სახიფათო მოქმედებას. მაგალითად, როცა სხვა ბავშვი ისვრის ქვას, როცა რამე სტკივა ან სჭირდება, მიმართავს ნაცნობ უფროსს დახმარებისთვის.

ბავშვი ამ ასაკიდან იწყებს ინიციატივის გამოჩენას სხვა ბავშვებთან თამაშში ჩასართავად, წამოიწყებს რამე თამაშს და სხვებსაც ჩართავს.

ბავშვი იწყებს კითხვების დასმას სხვადასხვა სიტუაციის და გარემოს უკეთ გასაცნობად. მაგალითად, როცა მიდის სტუმრად, კითხულობს, ეს ვისი სახლია? აქ რამდენ ხანს უნდა ვიყოთ და სხვა. ცვლის ქცევას გარემოს შესაბამისად. მაგალითად, ჩურჩულებს ბიბლიოთეკაში. თუ წინასწარ აფრთხილებენ, არ უჭირს ერთი საქმიანობიდან მეორეზე გადასვლა.

პატარა ცდილობს სიმშვიდის შენარჩუნებას, როცა რაიმე ისე არ ხდება, როგორც მას უნდოდა, როცა რაღაც არ გამოსდის, პირველივე ცდაზე არ წყვეტს მცდელობას, დახმარებას ითხოვს და იცის, რომ შეცდომების დაშვება ნორმალურია.

დამოუკიდებლობის განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიები

- ჩართეთ ბავშვები მაგიდის გაშლასა და ალაგებაში;
- მოამზადეთ ბავშვებთან ერთად კერძი სხვადასხვა რეცეპტით;
- წაახალისეთ, კვების დროს თვითონ გადაიღოს საკვები, გამოიყენოს ჩანგალი და ხელსახოცი, დაისხას წყალი;
- დაეხმარეთ და ასწავლეთ სხვადასხვანაირი შესაკრავების შეკვრა და გახსნა;
- დაეხმარეთ, ჩაიცვას და გაიხადოს დამოუკიდებლად;
- გააფრთხილეთ, აუხსენით, რატომ არის კონკრეტული ნივთი ან ნივთები სახიფათო, ესაუბრეთ სახიფათო სიტუაციების შესახებ. მოუყევით თქვენი გამოცდილება. მაგალითად, როგორ გეტკინათ, როცა ხელი დაგეწვათ, თუმცა ძალიან ნუ დაამძიმებთ, ნუ შეაშინებთ;
- ასწავლეთ უსაფრთხოების წესები თამაშით. მაგალითად, როგორ გადავდივართ ქუჩაზე, როგორ ვრეკავთ 112- ში;
- იყავით მხარდამჭერი და ნუ დასჯით, თუ რაიმე მიუღებელ ქცევაზე მოგიყვებათ, განიხილეთ მასთან ერთად, რომ არ დაკარგოთ მისი ნდობა;
- წაახალისეთ ბავშვი, ითამაშოს თანატოლებთან, გამოიჩინოს ინიციატივა: „ნახე, გიოს შენი ბურთი მოსწონს, მოდი, შესთავაზე ერთად თამაში“;
- წაახალისეთ ბავშვი, გააკეთოს არჩევანი.

თამაშები დამოუკიდებლობის განვითარების ხელშეწყობისათვის

მხიარული ბუტერბროდები

საჭირო მასალა: დაჭრილი პური, ყველი, კიტრი, პომიდორი, ბულგარული წიწაკა, მწვანილი.

ბავშვთან ერთად დაჭერით კიტრი, პომიდორი, ბულგარული წიწაკა, მწვანილი. დაადეთ პურს ყველი და გააფორმეთ ბოსტნეულით სხვადასხვანაირად.

ლიმონათი

საჭირო მასალა: რამდენიმე ლიმონი, ცოტა შაქარი, წყალი, მინის ჭურჭელი, ჭიქები, ფურცლები.

ლიმონები გაჭერით შუაზე, წაახალისეთ ბავშვი, გამოწუროს წვენი, დაუმატოს ცოტა შაქარი და ჭურჭელი აავსოს წყლით. გააკეთეთ ლიმონათის დახლი (მაგიდა), დაამზადეთ სათამაშო ფული. ითამაშეთ ლიმონათის გაყიდვობანა, წაახალისეთ ბავშვი, ჩამოუსხას მყიდველებს ლიმონათი.

შუქნიშანი

საჭირო მასალა: მუყაოს პატარა ყუთი, წითელი და მწვანე ფურცლები. გაზეთი, მუყაოს დიდი ყუთი.



ბავშვთან ერთად მუყაოს პატარა ყუთის და ფერადი ქაღალდების გამოყენებით დაამზადეთ შუქნიშანი, გაზეთი დაჭერით გრძელ ზოლებად და დააფინეთ იატაკზე ქვეითთა გადასასვლელის იმიტაციისათვის, მუყაოს დიდი ყუთი გამოიყენეთ როგორც მანქანა. გაინაწილეთ როლები და ითამაშეთ გზაზე გადასვლის თამაში.

112
საჭირო მასალა: სათამაშო ტელეფონი, ფერადი ქაღალდი, მაკრატელი, წებო.



ბავშვთან ერთად გამოჭერით და დაამზადეთ ფერადი ქაღალდისაგან ტრაფარეტი 112 ის გამოსახულებით. ითამაშეთ ბავშვთან ერთად ხანძრობანა ან სასწრაფოობანა. წაახალისეთ, ტრაფარეტის მიხედვით აკრიფოს ტელეფონზე 112 .

თასმების შეკვრა
საჭირო მასალა: მუყაო, მაკრატელი, თასმები.



ერთად გამოჭერით ფეხსაცმლის ფორმა და გაუკეთეთ თასმის გასაყრელები, აჩვენეთ ბავშვს, როგორ უნდა გაუყაროს თასმა და შეკრას. წაახალისეთ, გაიმეოროს თვითონაც.

მეტყველების განვითარება

3-6 წლამდე



სამი წლიდან ბავშვს უკვე შეუძლია მოკლე შეტყობინების გადაცემა, სვამს კითხვებს უცხო სიტყვებთან დაკავშირებით. ბავშვის სიტყვათა მარაგი უფრო და უფრო მდიდრდება და უკვე 1500 - ზე მეტი სიტყვის მნიშვნელობა ესმის. საუბრისას იყენებს მარტივ (მაგ. ამბობს: დათუნიას შია) და მარტივ გავრცობილ წინადადებებს (მაგ. ამბობს: საწყალ დათუნიას ძალიან შია). თხრობისას შეუძლია რამდენიმე წინადადების ერთმანეთთან დაკავშირება, შეუძლია მარტივი ამბის მოყოლა, იმახსოვრებს ლექსებს. შეუძლია მოცემულ ასოზე სიტყვის დასახელება, ასევე ერთნაირი ჟღერადობის სიტყვებს განასხვავებს, მაგ: ატამი - ტატამი. 5-6 წლის ბავშვს თავისუფლად შეუძლია თავისი სიტყვებით მარტივი ამბის გადმოცემა ისე, რომ მოვლენების თანმიმდევრობა დაიცვას, ასევე სხვებს უსმენს და მონაწილეობას იღებს ჯგუფურ საუბარში. იყენებს თავაზიანი მიმართვის ფორმებს, შეუძლია საკუთარ თავზე ინფორმაციის მოწოდება, სიტყვის პირველი ასოს გამოყოფა და ასევე მარცვლების გაერთიანება.

მეტყველების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიები

- ჩართეთ ბავშვი ყოველდღიურ საქმიანობებში და სთხოვეთ, აღწეროს რასაც აკეთებს, სთხოვეთ თამაშის წესების ახსნა, დაუბარეთ რაიმე ოჯახის სხვა წევრისთვის გადასაცემად, წაახალისეთ ბავშვი, რომ მეტყველება გამოიყენოს;
- ყოველდღიურად წაუკითხეთ ბავშვს, მოაწყვეთ სახლში სპეციალური მყუდრო ადგილი კითხვისთვის, ეს შეიძლება იყოს ხალიჩა და ბალიშები ან სავარძელი, სადაც მყუდროდ მოკალათდებით;
- გამოიყენეთ უსიტყვო წიგნები (მხოლოდ ილუსტრაციებით), წაახალისეთ ბავშვი თავად შეთხზას ამბავი;
- ასწავლეთ ბავშვს სიმღერები და იმღერეთ ერთად;
- დააწესეთ ე. წ. გაზიარების დრო, როცა ბავშვი და თქვენ ისაუბრებთ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე, გაუზიარებთ ერთმანეთს მოსაზრებებს და ა. შ.
- მიეცით ბავშვს საკმარისი დრო საუბრისას, ნუ გააწყვეტინებთ, ნუ გააჩერებთ, მოუსმინეთ ბოლომდე;
- წაახალისეთ ბავშვი, რომ საკუთარი მოსაზრებები დაასაბუთოს, მოიყვანოს არგუმენტები. ჰკითხეთ: რატომ ფიქრობ ასე? შეგიძლია ამიხსნა?
- ჩართეთ ბავშვი ოჯახურ საუბრებში, ერთად იმსჯელეთ, მიიღეთ გადაწყვეტილება;
- წაახალისეთ ბავშვი, გაგიზიაროთ დღის განმავლობაში მომხდარი ამბები, რა მოხდა ბაღში ან სახლში თქვენი არყოფნის დროს;
- ხშირად ითამაშეთ სიტყვების გამოცნობანა, წაახალისეთ ბავშვი, ჩაიფიქროს სიტყვა და აღწეროს ისე, რომ მიგახვედროთ, ერთად გამოიცანით გამოცანები;
- ხშირად ეთამაშეთ წარმოსახვითი თამაშები.

თამაშები მეტყველების განვითარების ხელშეწყობისათვის

გამოიცანი, რა არის?
საჭირო მასალა: სხვადასხვა ნივთი, სათამაშოები.

სთხოვეთ ბავშვს, დახუჭოს თვალები, თქვენ აირჩიეთ რომელიმე ნივთი და აუხსენით ბავშვს სიტყვიერად ეს ნივთი, წაახალისეთ ბავშვი, გამოიცნოს, შემდეგ კი პირიქით, თქვენ დახუჭეთ თვალები და ბავშვმა ახსნას.

მოვიგონოთ ამბავი
საჭირო მასალა: თეთრი ფურცლები, ფერადი ფანქრები, მაკრატელი.



ბავშვთან ერთად დაამზადეთ ბარათები: დაჭერით თეთრი ფურცელი საშუალო ზომის ოთხკუთხედებად და ბავშვთან ერთად დაახატეთ სხვადასხვა ნივთი, არსებები, ადგილები. შემდეგ კი ეს ბარათები გამოიყენეთ თამაშში: მოათავსეთ ბარათები მუყაოს ყუთში ისე, რომ ნახატს არ უნდა ხედავდეთ. რიგრიგობით ამოიღეთ თითო ბარათი, დაიწყეთ ამბის თხრობა ბარათზე დახატული გამოსახულების მიხედვით, შემდეგ კიდევ ერთი ბარათი ამოიღეთ და განაგრძეთ ამბის თხრობა. თამაში გრძელდება იქამდე, ვიდრე ყველა ბარათს არ ამოიღებთ ყუთიდან.

ვითომ ვითომ
საჭირო მასალა: სხვადასხვა ნივთი ან სპეციფიკური თემატური სათამაშოები, მაგ. ექიმის ნაკრები, ჭურჭელი, სათამაშო ხილი და ბოსტნეული და ა. შ.



ჩაერთეთ ბავშვთან ერთად თამაშში, მოაწყვეთ სახლში კაფე, პოლიკლინიკა, ბაზარი, გამოიყენეთ შესაბამისი სათამაშოები, ან სხვადასხვა ნივთი, ჩაერთეთ დიალოგში, დაუსვით მას კითხვები თამაშის სიუჟეტიდან გამომდინარე. მაგალითად, ეს ნამცხვარი რისგან მზადდება თქვენს კაფეში? შეგიძლიათ, ამიხსნათ, როგორ მოვუარო ჩემს დათუნიას? ამ ხილს როგორი გემო აქვს?

პოეტობანა

საჭირო მასალა: ფურცელი და კალამი.



მოიფიქრეთ ბავშვთან ერთად ლექსები - შესთავაზეთ ჩამოთვალოს სიტყვები, თქვენ კი ჩაიწერეთ. ხოლო შემდეგ მოიფიქროს სიტყვები, რომელიც ერითმება ჩამოწერილ სიტყვებს, მაგალითად: ბელი-ხელი, სკამი - ჯამი და ა. შ. ასევე შეგიძლიათ, ერთად შეადგინოთ სტროფები რითმების გამოყენებით:

„დავინახე ბელი
დავუქნიე ხელი.“
„ოთახში იდგა სკამი,
ზედ იდო დიდი ჯამი“ და ა. შ.

შემეცნებითი განვითარება

3-6 წლამდე

სამი წლიდან ბავშვი მეტყველების განვითარებასთან ერთად იწყებს მეტი კითხვის დასმას და საკუთარი ვარაუდების გამოთქმას. „რატომ?“ - არის ამ ასაკის მთავარი კითხვა.

ბავშვი უფრო მეტად არჩევს წარსულსა და აწმყოს, აქტიურად ეძებს პასუხებს კითხვებზე. შეუძლია ყურადღების შენარჩუნება 5 დან 15 წუთამდე და აქვს ინტერესის გამოკვეთილი სფერო, მაგალითად, უყვარს დინოზავრები.
ამ ასაკის ბავშვი უკეთ ბაძავს უფროსების მოქმედებებს, ითვლის, ადარებს და ახარისხებს. შეუძლია ფერების დასახელება, ხუთი ნივთის გადათვლა, იყენებს ზომისა და ფორმის აღმნიშვნელ სიტყვებს.

ატარებს ექსპერიმენტებს, ერთმანეთს ურევს წყალს, სოდას, ძმარს, მარილს. აკვირდება მექანიკას და ცდილობს ახსნას, როგორ მოძრაობს საათი ან სათამაშო. შეუძლია სახლში არსებული მარტივი ტექნოლოგიების გამოყენება, მაგალითად, შეუძლია ჩართოს და გამორთოს ტელევიზორი, პლანშეტი და ა. შ.
ბავშვი უკვე კარგად თამაშობს თავის მოგონილ წარმოსახვით თამაშებს, განასახიერებს სხვადასხვა როლს, სიამოვნებს ხატვა, ძერწვა, მოსწონს კონსტრუირება, გამოსახავს ფორმებსა და ადამიანებს, აღწერს საკუთარ ნამუშევრებს, სიამოვნებით ცეკვავს და ყვება ნაცნობ მელოდიებს, შეუძლია შეთხზას ამბები და სიმღერები.

სიამოვნებით ათვალიერებს სხვადასხვა თემაზე შექმნილ წიგნებს, ყვება მათზე, აქვს საყვარელი, გამორჩეული წიგნები და პერსონაჟები.

შემეცნებითი განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიები

- დაეხმარეთ ბავშვებს კითხვების ჩამოყალიბებაში. მაგალითად, როცა ხედავთ, რომ ის ხშირად თამაშობს მანქანებით, განსაკუთრებით კი მოსწონს, როგორ ტრიალებს ბორბლები, კითხეთ: გაინტერესებს, როგორ ტრიალებს ბორბლები?
- დაეხმარეთ ბავშვებს, გამოთქვან ვარაუდები. კითხვებზე პასუხის ნაცვლად, გამოიყენეთ მათი ინტერესი მათივე აზროვნების წასახალისებლად. მაგალითად, როცა ბავშვი გვეკითხება, რატომ არ მაგრდება ეს კუბურა? იმის ნაცვლად რომ უპასუხოთ, კითხვა დაუბრუნეთ: შენ როგორ ფიქრობ, რატომ? მოდი დავაკვირდეთ, რა ხდება? ამ შემთხვევაში ბავშვი ეცდება გამოთქვას თავისი ვარაუდი: ეს ძალიან დიდი და მძიმე კუბურაა, ან ეს კუბურა მრგვალია და გორდება.
- მიეცით ბავშვებს საშუალება, დარწმუნდეს ვარაუდის სისწორეში. კითხეთ: როგორ გავიგოთ, სწორია თუ არა, რასაც ფიქრობ? სად ვნახოთ?
- კარგი იქნება, თუ შეგრძნებებზე გავამახვილებთ ყურადღებას, ეს მათ ყურადღების კონცენტრაციასა და დაკვირვებაში დაეხმარება: როგორი ხაოიანია ეს ნაჭერი, ეს კი პრიალა, მოდი ერთად მოვსინჯოთ.
- დაუსვით ბავშვს კითხვები ანალიზისათვის, როგორ ფიქრობ, რა მოხდა, რატომ აინთო ღილაკი? რატომ ტივტივებს ნავი?
- ყოველთვის მიეცით ბავშვს საშუალება, გამოთქვას თავისი აზრი და შეხედულება, წაახალისეთ ის, გააკეთოს ეს ყოველთვის, როცა ამის საშუალება მოგეცემათ. მაგალითად, წიგნის კითხვისას დაუსვით ბავშვებს ღია კითხვები, რატომ მოხდა ასე? შენ რომ ყოფილიყავი, როგორ მოიქცეოდი და აშ.
- ხელი შეუწყვეთ ბავშვის წარმოსახვით თამაშებს, ეს შეგიძლიათ გააკეთოთ შესაბამისი გარემოს მოწყობითა და შესაბამისი ნივთების შეთავაზებით: ვითომ მაღაზიაში ვართ ან ვითომ ტყეში ვართ, შეგიძლიათ ჩაერთოთ თამაშში რაიმე როლის გათამაშებით.
- უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ასაკში შემოქმედებითობას ავითარებს არა ილეთების დასწავლა და ინსტრუქციების შესრულება, არამედ თავისუფალი თვითგამოხატვა. ამიტომ მიეცით ბავშვებს საშუალება თავისუფლად ხატონ, იცეკვონ, იმღერონ.
- შესთავაზეთ ბავშვებს სხვადასხვა ბუნებრივი მასალა და წაახალისეთ, ააწყოს სხვადასხვანაირი კონსტრუქციები: ნავი, შენობა, ადამიანის ფიგურა, პლასტილინის და ბუმბულების, გირჩების და ბოთლის თავსახურების ერთმანეთზე დამაგრებით. ნუ მისცემთ გამზადებულ ნიმუშებს, საშუალება მიეცით, თვითონ მოიფიქროს და საკუთარი ფანტაზიის მოშველიებით ააწყოს სხვადასხვა ნივთი და სათამაშო.

თამაშები შემეცნებითი განვითარების ხელშეწყობისათვის

კანონზომიერებები/ ორნამენტები

საჭირო მასალა: სხვადასხვა ბუნებრივი მასალა: ფოთლები, ქვები, ტოტები, გირჩები, ყვავილები, ნიჟარები, მარცვლები და სხვა.



შეგროვილი მასალა დაახარისხეთ პატარა ჯამებში. დაამწკრივეთ სიგრძეზე ან წრეზე რაიმე თანმიმდევრობით: ერთი ფოთოლი, ორი კენჭი, ერთი ყვავილი, შემდეგ ისევ ერთი ფოთოლი, ორი კენჭი, ერთი ყვავილი. ბავშვმა უნდა გააგრძელოს თქვენი დაწყებული თამაში და დაიცვას თანმიმდევრობა, შემდეგ ბავშვი დაიწყებს თამაშს და თქვენ გააგრძელებთ. შეიძლება ერთად დაამზადოთ სხვადასხვა ორნამენტი. დადეთ ცენტრში შერჩეული მასალა, რომელსაც ბავშვი თავისი სურვილით შერჩეული მასალით შემოავლებს წრეს, შემდეგ თქვენ აგრძელებთ და ა. შ.

ასეთი ორნამენტების გაკეთება შეგიძლიათ როგორც სახლში, ასევე ეზოში.

სამაგიდო თამაში ბაყაყი გუბეში

საჭირო მასალა: თაბახის ფურცლები, მუყაო, სახაზავი, ფლომასტერები ან ფანქრები, მაკრატელი, წებო, კამათელი.

ორი თაბახის ფურცელი ერთმანეთს სიგრძეზე დააწებეთ, ფურცლის ერთ ბოლოში დახატეთ ტბა, მეორე ბოლოში- ნაპირი. ფურცლის შუა ნაწილში დახაზეთ უჯრები. ცალკე მუყაოზე დახატეთ ხუთი ცალი ბაყაყი, გამოჭერით და გააფერადეთ სხვადასხვაფერად.

თამაში: ყველა მოთამაშე ირჩევს თავის ბაყაყს, ბაყაყები დასვით „სანაპიროზე“, გააგორეთ კამათელი, რამდენ წერტილსაც დაითვლით კამათელზე, იმდენ უჯრას გადაითვლით და დასვამთ ბაყაყს.

იგებს ის, ვინც პირველი ჩახტება წყალში და დაიძახებს - ბაყაყი გუბეში!

წიგნის დამზადება

საჭირო მასალა: თეთრი და ფერადი ფურცლები, მუყაო, ლენტები და თოკები, ფერადი ფანქრები, სახვრეტელა, წებო.

ბავშვთან ერთად მოიფიქრეთ, რა თემაზე გინდათ წიგნის დამზადება, ეს შეიძლება იყოს - როგორია ჩემი სახლი, რა მიყვარს ზაფხულში, რას ვაკეთებ ერთი დღის მანძილზე და ა.შ. ჰკითხეთ ბავშვს, რას ფიქრობს, როგორი წარმოუდგენია წიგნი, რა უნდა ეწეროს და ეხატოს ამ წიგნში, ერთად დახატეთ შესაბამისი ნახატები თეთრ ფურცლებზე. ცალკე სახვრეტელათი გახვრიტეთ მუყაოს ყდა და ფერადი ფურცლები. აკინძეთ ფურცლები და ყდა ლენტით ან თოკით და შეკარით. ნახატები ამოჭერით და დააწებეთ ფერად ფურცლებზე. სთხოვეთ ბავშვს, გადაიხატოს რამდენიმე ასო ან სიტყვა და გააფორმეთ ტექსტი და ყდა.

წარმოსახვითი თამაში: მაღაზიობანა

საჭირო მასალა: სასწორი, კალკულატორი, ფურცლები, ფანქრები, მაკრატელი, პატარა კალათი ან ჩანთები, სურსათი ან საყოფაცხოვრებო ნივთები.



ბავშვის სურვილის მიხედვით თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ როგორც სურსათის, ასევე ტანსაცმლის, ფეხსაცმლის ან სხვა ნივთების მაღაზია.

პატარა თაროზე დააწყვეთ ის ნივთები, რომელიც თქვენს „მაღაზიაში“ გაიყიდება.

შეგიძლიათ გამოიყენოთ სურსათის ცარიელი ყუთები, ქილები, ხილი და ბოსტნეული. ბავშვთან ერთად სურსათის ფასები განსაზღვრეთ და დააწერეთ , დაამზადეთ სათამაშო ფული. ითამაშეთ მაღაზიობანა, იყავით ხან გამყიდველი, ხან მყიდველი, აწონეთ და აკრიფეთ ვითომ სალაროზე (კალკულატორზე) ფასი, გადაიხადეთ. შეგიძლიათ თამაშში ჩართოთ თოჯინებიც. მიჰყევით ბავშვის სურვილს, თამაში შეიძლება გადაიზარდოს პიცერიობანაში, ბანკობანაში, ექიმობანაში და სხვა.

შექმენი კონსტრუქცია

საჭირო მასალა: მუყაოს პატარა, ცარიელი ყუთები, დაშლილი სათამაშოები, პლასტმასის ბოთლები და თავსახურები, ქსოვილები, ტუალეტის და სამზარეულოს ქაღალდის რგოლები, მავთული, ფოლგა, წებოვანი ლენტი, სტეპლერი, წებო და სხვა.

შესთავაზეთ ბავშვს, ხელთარსებული მასალით ააწყოს რაიმე კონსტრუქცია. დაუსვით კითხვები და დაეხმარეთ, მოიფიქროს, რის გაკეთება სურს. რა შეიძლება ავაწყოთ? ადამიანი თუ მანქანა? სახლი თუ მოწყობილობა? რა დაგვჭირდება? როგორ უნდა დაამაგრო ეს ნივთები ერთმანეთზე? რა დაგეხმარება?

კომპოზიტორობანა

საჭირო მასალა: ქსილოფონი, ქსილოფონის კლავიშების ფერი ფერადი ქაღალდები, წებო, თაბახის ფურცელი.



სამ ნაწილად დაჭერით თაბახის ფურცელი და სიგრძეზე დააწებეთ ერთმანეთს. ფერადი ქაღალდისაგან გამოჭერით პატარა წრეები. აუხსენით ბავშვს, რომ თეთრ ქაღალდზე სხვადასხვა ფერის ბურთები უნდა დააწებოთ და მან ქაღალდზე დაწებებული ფერადი ბურთების მიხედვით და იმავე თანმიმდევრობით უნდა დაუკრას ქსილოფონზე. ბავშვს ასევე შეუძლია, ჯერ მოიფიქროს მელოდია ქსილოფონზე და შემდეგ დააწებოს შესაბამისი წრეები ქაღალდზე, ან ჯერ დააწებოს და „ნოტების“ შესაბამისად დაუკრას.

სოციალურ-ემოციური განვითარება

3-6 წლამდე



3 წლიდან ბავშვი უკვე თამამად ასახელებს მისთვის საინტერესო საქმიანობებს, თამაშებს. ირჩევს და ერთვება ინდივიდუალურ საქმიანობაში, დამოუკიდებლად ცდის ახალ ქმედებებს, იცის რა გამოსდის კარგად.

ბავშვმა უკვე იცის იმ ადგილის სახელი, სადაც ცხოვრობს, აღწერს საკუთარ ოჯახს, ჩამოთვლის ოჯახის წევრებს, აცნობიერებს, რომ ოჯახი გარკვეულ ერთობას წარმოადგენს. თამაშის დროს შეუძლია თანამშრომლობა, ამავე დროს იჩენს ინიციატივას. თავადაც ცდილობს და სხვებისგანაც მოითხოვს წესების დაცვას. აფიქსირებს საკუთარ აზრს რა მოსწონს, რა არ მოსწონს და შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების ახსნა.
3 დან 6 წლამდე ასაკის ბავშვი გაითამაშებს სიუჟეტებს რეალური ცხოვრებიდან, ასევე წარმოსახვით თამაშში ერთვება. თუ ადრე უბრალოდ სხვა ბავშვების გვერდზე თამაშობდა, ახლა მოსწონს თანატოლებთან ერთად თამაში. შეუძლია ეთამაშოს უცნობ თანატოლებსაც.

ამ ასაკში ბავშვს შეუძლია საკუთარი ემოციების ამოცნობა და დასახელება, ასევე აღნიშნავს და ასახელებს სხვების ემოციებს. ძლიერ ემოციებს კონსტრუქციულად გამოხატავს. უფროსის დახმარებით საკუთარი თავის გაკონტროლებას ან კონფლიქტის მოგვარებას ცდილობს. ბავშვი მოქნილობას ამჟღავნებს და საკუთარ ქცევას გარემოს უსადაგებს. შეუძლია საკუთარი ემოციებისა და იმპულსების მართვა, სიამოვნების ან ჯილდოს გადავადება ცოტა ხნით.

სოციალურ-ემოციური განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიები

- წაახალისეთ ბავშვი, რომ გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები, მოსინჯოს თავი სხვადასხვა საქმიანობაში, ამისათვის შეუქმენით მრავალფეროვანი გარემო;
- მიეცით საშუალება დამოუკიდებლად იკვლიოს მასალები, მიეცით საკმარისი დრო იმისთვის, რომ სიამოვნება მიიღოს ახალი გამოცდილებით, საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენით;
- წაახალისეთ, რომ გამოხატოს დამოუკიდებლობა;
- ხშირად აღნიშნეთ და მოუწონეთ ძალისხმევა, ხშირად შეაქეთ;
- მიეცით ბავშვს საშუალება დაგეგმოს თამაში, მონაწილეობა მიიღოს ოჯახური დღესასწაულის დაგეგმვაში;
- გამოხატეთ თანადგომა ბავშვის მიმართ, ასევე ხშირად აჩვენეთ როგორ ეხმარებით ოჯახის უფროსი წევრები ერთმანეთს;
- მიეცით არჩევანის გაკეთების საშუალება;
- შეიმუშავეთ ყოველდღიური რუტინა - განრიგი, რომელსაც მიყვებით, ცვლილებების შემთხვევაში ბავშვი წინასწარ გააფრთხილეთ;
- მართეთ საკუთარი ნეგატიური ემოციები, ამით მაგალითს მისცემთ ბავშვს;
- გაახმოვანეთ თქვენი ემოციები, ახსენით რას გრძნობთ, რას განიცდით, რა გახდა მიზეზი; ბავშვსაც მიეცით ამისი საშუალება;
- ეთამაშეთ ისეთი თამაშები, რომელსაც წესების დაცვა სჭირდება;
- ეთამაშეთ წარმოსახვითი, „ვითომ-ვითომ“ თამაშები;
- მიეცით ბავშვს საშუალება თავად მოაგვაროს თანატოლებთან წამოჭრილი პრობლემები, ჩაერიეთ მხოლოდ მაშინ, როცა სიტუაცია გამწვავებულია;
- წაუკითხეთ წიგნები მეგობრობის, თანადგომის შესახებ, ერთად იმსჯელეთ პერსონაჟებზე.

თამაშები სოციალურ-ემოციური განვითარების ხელშეწყობისათვის

ემოციების წიგნის დამზადება

საჭირო მასალა: ფერადი ფანქრები, თაბახის ფურცლები, მაკრატელი, წებო.

წაახალისეთ ბავშვი, რომ დახატოს სხვადასხვა ემოცია, თითოეული ემოციის შესაბამისი სიტუაცია, წაახალისეთ ისაუბროს იმის შესახებ თუ როგორ გრძნობს ამ ემოციის დროს თავს, თქვენ კი ჩაიწერეთ. ტექსტი და ნახატები ერთ წიგნად აკინძეთ.

სხვადასხვა ემოციების სახეების აწყობა

საჭირო მასალა: თეთრი ქაღალდი, მაკრატელი, ფერადი ფანქრები, მუყაო.



ბავშვთან ერთად შექმენით სხვადასხვა ემოციების პორტრეტები, ხატვისას ყურადღება გაამახვილეთ სახის მიმიკაზე, თვალების გამომეტყველებაზე. მას შემდეგ, რაც პორტრეტებს დაასრულებთ დააწებეთ მუყაოზე და გამოჭერით სახის ნაკვთები - წარბები, თვალები, ცხვირი, პირი. ცალკე ფურცელზე შემოხაზეთ მხოლოდ სახის ოვალის კონტური. წაახალისეთ ბავშვი, რომ ააწყოს სხვადასხვა ემოციების სახეები.

ემოციების დაწყვილება

საჭირო მასალა: თეთრი ფურცელი, ფერადი ფანქრები, მაკრატელი.



დაამზადეთ ემოციების წყვილი ბარათები, წაახალისეთ ბავშვი, რომ მოძებნოს წყვილები და ისაუბროს იმაზე, თუ რას გრძნობს როცა გახარებულია, როცა მოწყენილია და ა.შ.

დავხატოთ ერთად

საჭირო მასალა: ნებისმიერი სახატავი საშუალება - ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, ფურცლები.



მოიმარაგეთ სახატავი საშუალებები და დასხედით ბავშვთან ერთად. შეთანხმდით, რომ ხატავთ ერთობლივ ნახატს, ჯერ ბავშვი იწყებს ხატვას და მის ნამუშევარს თქვენ უმატებთ დეტალს, შემდეგ ისევ ბავშვი და ა.შ.

ჩაიხედე სარკეში

მოთავსდით ბავშვის პირისპირ და აუხსენით თამაშის წესი - რომელიმე თქვენგანი იწყებს მოძრაობას, მეორე კი სარკის მსგავსად იმეორებს.

ავაშენოთ სასახლე

საჭირო მასალა: ხის კუბები, პატარა ზომის მუყაოს ყუთები.



მოიმარაგეთ ზემოთ აღნიშნული საშენი მასალა და მოთავსდით ბავშვთან ერთად ხალიჩაზე. ააშენეთ ერთად სასახლე, შეეცადეთ თამაშის დროს წაახალისოთ ბავშვი, რომ გაგიზიაროთ, დაგელოდოთ, თავად მიეცით ამის მაგალითი.

ვიზუალური განრიგი

საჭირო მასალა: ფერადი ფანქრები, მაკრატელი, თეთრი ფურცლები, ხის სარჭები, თოკი, წითელი მარკერი.



წაახალისეთ ბავშვი, რომ დახატოს დღის განმავლობაში რისი კეთება უწევს. შემდეგ ეს ნახატები გამოჭერით ბარათებად და ხის სარჭებით დაამაგრეთ თოკზე ერთმანეთის თანმიმდევრულად. ერთი სარჭი წითელი მარკერით გააფერადეთ. წაახალისეთ ბავშვი წითელი სარჭი დღის განმავლობაში იმ ნახატზე, შესაბამისად განრიგის იმ კომპონენტზე გადაიტანოს, რომლის შესრულების დროც არის.



პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი, შესაძლებელია, არ ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

unicef
for every child

გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში
www.unicef.org/georgia
E-mail: tbilisi@unicef.org
unicefgeorgia